საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება: სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა Bachellor Programm in Sociology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Sociology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 კრედიტი (ECTS)
პროგრამის ხელმძღვანელი: იაგო კაჭაკაჭიშვილი, პროფესორი
სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე. სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სოციოლოგიურ თეორიებსა და სოციიოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიაში საბაზისო ცოდნის უზღუნველყოფა. გარდა ამისა, პროგრამა მოწოდებულია სტუდენტებს განუვითაროს პრაქტიკული სოციოლოგიური კვლევის ჩატარების უნარ – ჩვევები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ასეთი წინაპირობა არ არსებობს

სწავლის შედეგი: ცოდნა და გაცნობიერება. სოციოლოგიის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს ექნება ზოგადი, თუმცა ადეკვატური ცოდნა სოციოლოგიის ისტორიის, ძირითადი სოციოლოგიური ცნებების, თეორიული მიდგომებისა და სოციალური კვლევის მეთოდების შესახებ.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: ექნება უნარი, გააცნობიეროს და განსაზღვროს სხვადასხვა სოციალური პრობლემის კვლევის გზები და ჩამოაყალიბოს ზოგიერთი რეკომენდაცია ამ პრობლემების გადასაჭრელად. ექნება უნარი, ჩაერთოს სხვადასხვა მეთოდით წარმართულ კვლევით პროექტებში როგორც რიგითი მკვლევარი და ხარისხიანად აწარმოოს კვლევის თავისი ნაწილი არსებული ეთიკური და პროფესიული სტანდარტების დაცვით; შეუძლია შეიმუშაოს და განახორციელოს საკუთარი კვლევითი პროექტი სამეცნიერო ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ.

დასკვნის უნარი: ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეეძლება, რომ პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის დამუშავების და გაანალიზების საფუძველზე გააკეთოს დასკვნები შესასწავლი პრობლემის არსის, მისი გადაჭრის გზების შესახებ.

კომუნიკაციის უნარი: ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეეძლება კომუნიკაცია დაამყაროს ყველა იმ ადამიანთან, რომელიც მისი კვლევის ობიექტს წარმოადგენენ (რესპონდენტები, ექსპერტები, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლები და სხვ.). მას განვითარებული ექნება სოციალური უნარები, კერძოდ, შეეძლება ჯგუფური მუშაობა, მათ შორის, ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობა. ბაკალავრს შეეძლება, აგრეთვე, კომუნიკაცია უცხო ენაზე (B1 დონე).

ღირებულებები, რომლებსაც შეიძენენ პროგრამის დასრულების შემდეგ

- პროფესიული ეთიკის პრინციპების პატივისცემა
- კვლევის ობიექტის (ადამიანები, ჯგუფები) უფლებების, პირველ რიგში, მათი ანონიმურობის დაცვა
- პლაგიატის უარყოფა
- ქსენოფობიური და ეთნოცენტრისტული დამოკიდებულებების უარყოფა
- განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა

კურსდამთავრებულებს გამომუშავებული ექნებათ ზოგადი (ტრანსფერული)აბსტრაქტული აზროვნების, მოვლენათა კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის, ახალი იდეების გენერირების, ცოდნის მუდმივი განახლების, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზის, დისკუსიის წარმართვის, საკუთარი ნაშრომისა და მოსაზრებების საჯარო წარდგენის უნარები.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

შედეგების მისაღწევად გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:

1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი
2. წიგნზე მუშაობის მეთოდი
3. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და ა.შ.
4. პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ - ჩვევებს ჩამოუყალიბებს: სასწავლო და პედაგოგიური პრაქტიკა
5. საველე მუშაობა და სხვა

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება აგრეთვე ისეთი მეთოდები, როგორიცაა:

1. დისკუსია, დებატები
2. ჯგუფური მუშაობა (cooperative/ collaborative)
3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება(PBL)
4. შემთხვევის ანალიზი
5. გონებრივი იერიში (Brain storming)
6. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

ქულათა მაქსიმალური რაოდენობიდან	შეფასება	შეფასების კვალიფიკაცია	შეფასების GPA
91% და მეტი	(A) „ფრიადი“	დადებითი	4.0
81 – 90%	(B) „ძალიან კარგი“	დადებითი	3.0
71 – 80%	(C) „კარგი“	დადებითი	2.0
61 – 70%	(D) „დამაკმაყოფილებელი“	დადებითი	1.0
51 – 60%	(E) „საკმარისი“	დადებითი	0.5
41 – 50%	(FX) „ვერ ჩააბარა“	უარყოფითი	0
40% და ნაკლები	(F) „ჩაიჭრა“	უარყოფითი	0

შუალედური შეფასებები შეიძლება დაეყრდნოს შემდეგ აქტივობებს:

- აქტიურობა სასემინარო, ან პრაქტიკულ მეცადინეობაზე
- საკონტროლო სამუშაო
- საპრეზენტაციოდ მომზადებული მოხსენება
- წერითი და ზეპირი საშინაო დავალებები
- შუალედური გამოცდა
- საბოლოო გამოცდა და სხვა.

დასაქმების სფეროები: სოციოლოგიის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეეძლება შრომითი საქმიანობის დაწყება ყველა იმ სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელიც ზოგადი კვალიფიკაციის სოციოლოგს საჭიროებს. ასეთი კვალიფიკაცია კი პრინციპულად ყველა სფეროში არსებულ ორგანიზაციას შეიძლება დასჭირდეს.

დამატებითი ინფორმაცია:პროგრამას შეუძლია მოემსახუროს საშუალოდ 200 – მდე სტუდენტს ყოველწლიურად.

თსუ–ს სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, რომ სოციოლოგიის სასწავლო პროგრამის ბაზაზე შეიძინონ დამატებითი სპეციალობა, რისთვისაც მათ მოუწევთ დააგროვონ 60 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი კურსების საფუძველზე.

დანართი № ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ თსუ სოციოლოგიის მიმართულებას ემსახურება სარესურსო ცენტრი, რომელიც მოიცავს:

- ექვს გარემონტებულ ოთახს (ფართი დაახლოებით 140კვ.მ)
- ბიბლიოთეკას, დაახლოებით 1400 წიგნით სოციალური მეცნიერებების სფეროში
- 22 უახლესი მოდელის კომპიუტერს
- 24 საათიან ინტერნეტ მომსახურებას
- 5 პრინტერს
- ქსეროკოპირების მანქანას
- პროექტორს
- ფაქსს, სკანერს და ა.შ.

სარესურსო ცენტრი ღიაა 9 - დან 18 საათამდე სამუშაო დღეებში.
სარესურსო ცენტრის მომსახურებით ყოველდღიურად სარგებლობს 50 – ზე მეტი სტუდენტი.

დანართი № პროგრამის დამტკიცების აქტი
2011 წლის 25 ივნისს გაიმართა თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების აკადემიური პერსონალის სხდომა.

აკადემიურმა პერსონალმა მოიწონა და დაამტკიცა სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

ხელმოწერები:
1. იაგო კაჭკაჭიშვილი
2. ამირან ბერძენიშვილი
3. ლელა გაფრინდაშვილი
4. ლია წულაძე
5. თეონა მატარაძე
6. თამარ მახარაძე

სასწავლო გეგმა (სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით: იხ. დანართი "სოციოლოგიის სასწავლო გეგმა")

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი და ითვალისწინებს სტუდენტის მიერ 240 კრედიტის (ECTS) დაგროვებას:

120 კრედიტი – ძირითადი სპეციალობა: ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები 95 კრედიტი (ECTS) (მათ შორის 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომი) და ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსები 25 კრედიტი (ECTS)

45 კრედიტი – საფაკულტეტო სასწავლო კურსები, მათ შორის: საფაკულტეტო სავალდებულო კურსები 25 კრედიტი, საფაკულტეტო არჩევითი კურსები – 5 კრედიტი, საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსები – 15 კრედიტი

15 კრედიტი – თავისუფალი კრედიტები

60 კრედიტი – დამატებითი სპეციალობა (Minor) ან სხვა სასწავლო კომპონენტები საუნივერსიტეტო კურიკულუმიდან

შენიშვნა: საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები, რომლებიც წარმოადგენენ უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს, თსუ-ს ენების ცენტრის დასკვნის საფუძველზე, თავისუფლდებიან ინგლისური ენის სავალდებულო 10 კრედიტისგან და სავალდებულო კრედიტები უნდა შეავსონ თავისუფალი კრედიტებით

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ დაპოლიტიკურ მეცნიერებათა
<u>უნივერსიტეტი</u>/ინსტიტუტი/დეპარტამენტი/კათედრა/მიმართულება: ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი: იაგო კაჭკაჭიშვილი, პროფესორი
სასწავლო პროგრამის კოორდინატორი: შორენა თურქიაშვილი, ასისტენტ პროფესორი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი,დადგენილების ნომერი: №57/ 2011, დანართი 37

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების ნომერი და თარიღი): დადგენილება №16/2012-1 მარტი, 2012; დადგენილება №30/2013 -18 თებერვალი, 2013; დადგენილება №100/2013- 9 სექტემბერი,2013; დადგენილება № 17/2014-19 თებერვალი, 2014; დადგენილება №81/2014-4 სექტემბერი, 2014; დადგენილება №22/2015 - 9 თებერვალი, 2015; დადგენილება №68/2015 - 6 ივლისი, 2015; დადგენილება № 137/2015 - 28 დეკემბერი 2015; დადგენილება № 22/2016 - 19 თებერვალი, 2016; დადგენილება № 23/2016 - 29 თებერვალი, 2016; დადგენილება № 9/2017 - 23 იანვარი, 2017; დადგენილება №21/2017 - 20 თებერვალი, 2017; დადგენილება №90/2017 - 25 ივლისი, 2017; დადგენილება №91/2018 - 19 მარტი, 2018

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2012-2013

პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო კურსები/მოდულები										
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები/მოდულები - 25 კრედიტი (ECTS)										
№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა (ECTS)	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში			სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი/ პრაქტიკუმი	შუალედური და დასკვნითი გამოცდები			შემოდგომა	გაზაფხული	
1	სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები	5	15	15	5	90	არჩევა მე-2 სემესტრიდან	✓	✓	ნინო დურგლიშვილი თეონა მატარაძე ნათელა დონაძე შორენა თურქიაშვილი თამარ ქარაია
2	ინგლისური ენა 1 (A 1.1; A 2.1; B 1.1; B 2.1;)	5	30	30	5	60	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის პედაგოგი
3	სტატისტიკა	5	30	30	5	60	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ომარ ფურთუხია პეტრე ბაბილუა მზევინარ ფაცაცია სიმონ ელოშვილი ნორა კეკელია ბესარიონ დოჭვირი ალექსანდრე ტყეშელაშვილი მიმოზა ტყებუჩავა ზაზა ხეჩინაშვილი

										ქეთევან მანჯგალაძე
4	აკადემიური წერა	5	15	15	3	92	წინაპირობის გარეშე	✓	✓	თათია ქართლელიშვილი თამარ უკლება გიორგი მელიქიძე ნათია სვანიძე მზია შენგელია
5	ინგლისური ენა 2 (A 1.2; A 2.2; B 1.2; B 2.2)	5	30	30	5	60	ინგლისური ენა 1		✓	ენების ცენტრის პედაგოგი
საფაკულტეტო (საბაზისო) არჩევითი კურსები/მოდულები - მინიმუმ 5 კრედიტი (ECTS)										
1	ანთროპოლოგია	5	30	0	4	91	წინაპირობის გარეშე		✓	ნინო მშვენიერაძე
2	გამოყენებითი ეკონომიკა	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ჯამლეტ ჯანჯღავა
3	კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა	5	30	0	7	88	წინაპირობის გარეშე	✓		გუგული მაღრაძე ლაშა ტუღუში
4	ლოგიკა	5	30	0	5	90	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ნინო თომაშვილი
5	ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ისტორია	5	30	0	4	91	წინაპირობის გარეშე	✓		ზურაბ დავითაშვილი კოსტანტინე შუბითიძე
6	მეტყველების კულტურა (არაჟურნალისტებისთვის)	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		✓	იური ფოფხაძე
7	გამოცდილებითი სწავლა/სწავლების მეთოდები	5	15	30	4	76	წინაპირობის გარეშე		✓	რევაზ ჯორბენაძე მარეხ დევიძე
საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსები - 15 კრედიტი (ECTS) (სტუდენტებს ევალებათ 3 საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსის გავლა)										
1	სოციალური მუშაობის შესავალი	5	15	15	6	89	წინაპირობის გარეშე	✓	✓	შორენა თურქიაშვილი თეონა მატარაძე ზურაბ ტატანაშვილი გიორგი წოწკოლაური ნათია ბერძენიშვილი ნელი აკობია
2	საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი	5	30	15	4	76	წინაპირობის გარეშე	✓	✓	იოსებ სალუქვაძე თამარ დოლბაია

										გიორგი კვინიკაძე ლუიზა აბაზაძე მაია ჟღენტი
3	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	✓	✓	სალომე დუნდუა მალხაზ მაცაბერიძე გია ჟორჟოლიანი ზვიად აბაშიძე კორნელი კაკაჩია ელენე გელაშვილი ლადო ნაფეტვარიძე
4	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი	5	30	15	9	71	წინაპირობის გარეშე	✓		ზურაბ დავითაშვილი სერგი კაპანაძე თორნიკე თურმანიძე ფიქრია ასანიშვილი კოსტანტინე შუბითიძე
5	ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი	5	30	15	7	73	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მანანა შამილიშვილი მარი წერეთელი ხათუნა კაჭარავა
სოციოლოგიის სპეციალობის პროგრამის სავალდებულო კურსები - 95 კრედიტი (ECTS):										
I მოდული: სოციალური თეორიები სულ 30 კრედიტი										
1	სოციოლოგიის შესავალი	5	15	15	6	89	წინაპირობის გარეშე	✓	✓	იაგო კაჭკაჭიშვილი ამირან ბერძენიშვილი შორენა თურქიაშვილი ნინო ამონაშვილი კახა ქეცბაია
2	პროტოსოციოლოგიური თეორიები	5	30	15	5	75	სოციოლოგიის შესავალი		✓	ამირან ბერძენიშვილი
3	კლასიკური სოციალური თეორიები	5	30	15	5	75	პროტოსოციოლოგიური თეორიები	✓		ამირან ბერძენიშვილი
4	თანამედროვე სოციალური თეორიები I	5	15	15	4	91	კლასიკური სოციალური თეორიები	✓		იაგო კაჭკაჭიშვილი
5	თანამედროვე სოციალური თეორიები II	5	30	15	5	75	თანამედროვე სოციალური თეორიები I		✓	ამირან ბერძენიშვილი

6	პოსტმოდერნული სოციალური თეორიები	5	15	15	6	89	თანამედროვე სოციალური თეორიები I		✓	იაგო კაჭკაჭიშვილი
II მოდული: სოციოლოგიური კვლევის მეთოდები სულ 35 კრედიტი										
7	რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები I	5	15	15	5	90	სოციოლოგიის შესავალი	✓		მარინა ბურძენიძე ნინო დურგლიშვილი რატი შუბლაძე
8	რაოდენობროვი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები II	5	15	15	4	91	რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები I		✓	მარინა ბურძენიძე ნინო დურგლიშვილი რატი შუბლაძე
9	თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები I	5	15	15	5	90	სოციოლოგიის შესავალი; სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები	✓		ლია წულაძე ნათელა დონაძე
10	თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები II	5	15	15	5	90	თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები I		✓	ლია წულაძე ნათელა დონაძე
11	მონაცემთა ანალიზი 1	5	15	15	4	91	რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები II; სტატისტიკა	✓		ნინო დურგლიშვილი
12	მონაცემთა ანალიზი 2	5	15	15	4	91	მონაცემთა ანალიზი 1		✓	ნინო დურგლიშვილი
13	სტატისტიკური მეთოდები სოციოლოგიაში	5	15	15	7	88	სტატისტიკა	✓		ქეთევან მანჯგალაძე
III მოდული: სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი. სულ 20 კრედიტი										
14	რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი I	5	-	45	5	75	რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები II; სტატისტიკა	✓		მარინა ბურძენიძე თინათინ გვენეტაძე ნათია უბილავა გვანცა ჯიბლაძე
15	რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი II	5	30	15	5	75	რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი I		✓	მარინა ბურძენიძე თინათინ გვენეტაძე ნათია უბილავა

										გვანცა ჯიბლაძე
16	თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი I	5	-	45	-	80	თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები I და II	✓		იაგო კაჭკაჭიშვილი მარიამ ქობალია მარინა ბურძენიძე ნათელა დონაძე ნანა ჭაბუკიანი
17	თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი II	5	30	15	5	75	თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი I		✓	იაგო კაჭკაჭიშვილი მარიამ ქობალია მარინა ბურძენიძე ნათელა დონაძე ნანა ჭაბუკიანი
18	**საბაკალავრო ნაშრომი**	**10**								
სოციოლოგიის სპეციალობის არჩევითი კურსები: IV მოდული: დარგობრივი სოციოლოგია - 25 კრედიტი (ECTS)*										
19	ოჯახის სოციოლოგია	5	15	15	6	89	სოციოლოგიის შესავალი	✓		შორენა თურქიაშვილი
20	კულტურის სოციოლოგია	5	15	15	7	88	სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები; სოციოლოგიის შესავალი	✓		ლალი სურმანიძე
21	დანაშაულის სოციოლოგია	5	15	15	4	91	სოციოლოგიის შესავალი	✓		შორენა თურქიაშვილი
22	მეცნიერების სოციოლოგია	5	15	15	6	89	სოციოლოგიის შესავალი		✓	კახა ქეცბაია

23	ხელოვნების სოციოლოგია	5	15	15	7	88	სოციოლოგიის შესავალი	✓		დავით ანდრიაძე
24	გენდერის სოციოლოგია	5	30	15	4	76	სოციოლოგიის შესავალი		✓	ლელა გაფრინდაშვილი
25	რელიგიის სოციოლოგია	5	15	15	4	91	სოციოლოგიის შესავალი	✓		კახა ქეცბაია
26	პოლიტიკური სოციოლოგია	5	30	15	4	76	სოციოლოგიის შესავალი		✓	ამირან ბერძენიშვილი
27	შრომისა და ორგანიზაციის სოციოლოგია	5	15	15	4	91	სოციოლოგიის შესავალი		✓	ანა დიაკონიძე
28	ენის სოციოლოგია (სოციოლინგვისტიკა)	5	15	15	5	90	სოციოლოგიის შესავალი		✓	მარინა ბურძენიძე
29	სოციალური ფსიქოლოგია	5	15	15	7	88	სოციოლოგიის შესავალი	✓		ლალი სურმანიძე
30	SPSS პროგრამა	5	15	15	6	89	სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები	✓	✓	ნინო დურგლიშვილი ივანე კეჭაყმაძე
31	ეკონომიკის სოციოლოგია	5	15	15	4	91	სოციოლოგიის შესავალი		✓	ანა დიაკონიძე
32	განათლების სოციოლოგია	5	15	15	4	91	სოციოლოგიის შესავალი		✓	კახა ქეცბაია
33	კულტურის ემპირიული კვლევები	5	15	15	5	90	სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები; სოციოლოგიის შესავალი		✓	ლია წულაძე
34	მასკულინობის კვლევები	5	15	15	4	91	სოციოლოგიის შესავალი		✓	თამთა მელაშვილი
35	გენდერი: ინტერდისციპლინური კვლევები	5	30	15	4	76	სოციოლოგიის შესავალი	✓		ლელა გაფრინდაშვილი
36	სპეციალური ინგლისური ენა სოციოლოგებისთვის	5	15	15	4	91	ინგლისური ენა 2	✓		ნინო ბოლქვაძე
37	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	5	15	15	6	89	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ნოდარ ბელქანია

38	ბიოგრაფიკა	5	15	15	6	89	წინაპირობის გარეშე	✓		ნოდარ ბელქანია
39	სოციალური სივრცე და ურბანული განვითარება	5	15	15	4	91	სოციოლოგიის შესავალი		✓	იაგო კაჭკაჭიშვილი
40	უმცირესობათა პერსპექტივა (სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამიდან)	5	15	15	4	91	სოციოლოგიის შესავალი	✓		თეონა მატარაძე
41	სამართლის სოციოლოგია	5	15	15	7	88	სოციოლოგიის შესავალი	✓		რატი შუბლაძე
42	ჯანდაცვის სოციოლოგიის საფუძვლები	5	15	15	4	91	სოციოლოგიის შესავალი	✓		თენგიზ ვერულავა
43	შესავალი ფემინისტურ ნააზრევში	5	15	15	4	91	წინაპირობების გარეშე		✓	თამთა მელაშვილი
თავისუფალი კრედიტები - 15 კრედიტი (ECTS)										

*** ამოქმედდეს 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან**

დამატებითი (Minor) პროგრამა სოციოლოგიაში

(60 კრედიტი)

საგნების განაწილება საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრების Mმიხედვით (ყველა საგანი 5 კრედიტიანია)

საშემოდგომო სემესტრი (სექტემბერი-დეკემბერი)					საგაზაფხულო სემესტრი (თებერვალი-მაისი)			
#	კურსები	კურსის შესწავლის წინაპირობა	პედაგოგი		#	კურსები	კურსის შესწავლის წინაპირობა	პედაგოგი

სავალდებულო (სულ 40კრედიტი)							
1.	სოციოლოგიის შესავალი	_	ი. კაჭკაჭიშვილი ა.ბერძენიშვილი ნ. ამონაშვილი შ. თურქიაშვილი		სოციოლოგიის შესავალი	_	ი. კაჭკაჭიშვილი ა.ბერძენიშვილი ნ. ამონაშვილი შ. თურქიაშვილი
2.	თანამედროვე სოციალური თეორიები I	#1,5	ი. კაჭკაჭიშვილი	6.	თანამედროვე სოციალური თეორიები 2	#5,2	ა.ბერძენიშვილი
3.	რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები 1	#1	მ.ბურძენიძე ნ.დურგლიშვილი	7.	რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები 2	#3	ნ.დურგლიშვილი
4.	თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები 1	#1	ნ. დონაძე ლ. წულაძე	8.	თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები 2	#4	ნ. დონაძე ლ. წულაძე
5.	კლასიკური სოციალური თეორიები	#1	ა.ბერძენიშვილი				
არჩევითი (სულ 20 კრედიტი) **სტუდენტს შეუძლია 20 კრედიტი დააგროვოს ძირითადი სპეციალობის არჩევითი საგნების საფუძველზე**							

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა .....

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა .....

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა .....

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა .....

თარიღი .....

ფაკულტეტის ბეჭედი